მაღალი რანგის პრინციპების ერთგული კაცი

იაშა (კოკა) კუტუბიძე – 70



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი იაშა (კოკა) კუტუბიძე 70 წლისაა. საიუბილეო თარიღს ღირსეულად ხვდება იუბილარი. როგორც პოეტი ამბობს: „მას არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინია" ვინაიდან თავისი ცხოვრების რთული და საინტერესო გზა დღემდე ღირსეულად და კაცურად გაიარა.

დიდი ბედნიერებაა, როცა უფალი წილად გარგუნებს გამორჩეული მშობლების შვილობას. მამა-შალვა კუტუბიძე, დამსახურებული პედაგოგი, გონიერებით, ხალასი იუმორის ნიჭით უხვად დაჯილდოებული ადამიანი, მომაჯადოებელი ხიბლის მატარებელი პიროვნება იყო. დედა -ფაცია წულაია, მშვენიერებისა და კეთილშობილების, გარეგნული სილამაზისა და სულიერი სრულყოფილების ერთიანობის განსახიერება ქალბატონი გახლდათ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მშობლების ეს თვისებები გენეტიკურად მომეტებულად უხვად გადაეცა შვილს, ჩვენს მეგობარ იუბილარს -კოკა კუტუბიძეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სრული კურსისა და ამავე ფაკულტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, კოკა კუტუბიძე მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრაზე. შეთავსებით ლექციებს კითხულობდა თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. რამდენიმე წელი იყო სულხან-საბა ორბელიანის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მოუწია მას მუშაობა საქართველოს კონტროლის პალატაში, სადაც დაიწყო საქმიანობა განყოფილების გამგედ და ბოლო წლების მანძილზე იყო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პრეზიდიუმის წევრი, კურირებდა ძალოვანი უწყებების საქმიანობას რესპუბლიკის მასშტაბით.

ასეთ პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობის პარალელურად, აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს (მონოგრაფიებს, სტატიებს) სოციალურ მეცნიერებათა სფეროში, ასევე კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში, მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

ამიტომაც, როდესაც საჯარო სამსახურიდან წამოვიდა, მას პრობლემა არ შექმნია, გაეგრძელებინა საქმიანობა მისთვის საყვარელ სფეროში-სამეცნიერო- პედაგოგიურ ასპარეზზე.

ამჟამად კოკა კუტუბიძე წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მისი ინიციატივით და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკად. არჩილ ფრანგიშვილის აქტიური მხარდაჭერით შექმნილ სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს. აღნიშნულ დეპარტამენტში მან ჩამოაყალიბა სოციალური კვლევების ლაბორატორია, რომლის

ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე შემუშავდეს სათანადო რეკომენდაციები უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. მისივე ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით შემუშავებულია სამაგისტრო პროგრამები სოციოლოგიასა და გამოყენებით ფსიქოლოგიაში.

ჩვენს იუბილარს აქვს შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე ნატო მეცხვარიშვილი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, წარმატებით მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. შვილები -სალომე და შალვა (შაკო) თავიანთ სფეროებში წარმატებული ახალგაზრდები არიან. სალომე საბანკო სექტორში მნიშვნელოვან პოზიციაზეა, ხოლო შალვა (შაკო), ეკონომიკის დოქტორი, ერთ-ერთ სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობის პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ტექნიკურ უნივერსიტეტში.

რაც შეეხება ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს, საყვარელ შვილიშვილს გუკას, რომელიც დაწყებითი სკოლის მოსწავლეა, იუბილარი ბაბუა კაცური პრინციპებით ზრდის. იმ კაცური პრინციპებისა და მაღალი რანგის ღირებულებების მიხედვით, რომლებსაც მთელი ცხოვრება ერთგულად ემსახურება თავად იუბილარი. დიახ, მაღალი რანგის პრინციპების მსახურება და ერთგულება, სიკეთის კეთებისთვის მუდამ მზადყოფნა-არის კოკა კუტუბიძის ცხოვრების საზრისი და მოწოდება.

ენერგიით აღსავსე, ახალი მიზნებით, ჩანაფიქრებით, ხვდება იუბილეს ჩვენი მეგობარი, გამორჩეული და ღირსეული პიროვნება-კოკა კუტუბიძე.

ჩვენც გულითადად ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს, ახალ-ახალ წარმატებებს.

ირაკლი კალანდია,
ალექსანდრე სიჭინავა,
ავთანდილ სილაგაძე,
კარლო კოპალიანი,
ვახტანგ სართანია,
მიხეილ ჩიკვილაძე,
გიორგი კოპალიანი.